ბრძანება:**ბ63. 6323283001**
თარიღი:**10/10/2023**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 2-ე პუნქტის ,,ა"ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**მუხლი 1.** მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2023 წლის 11 ოქტომბერს 11:00 საათზე. სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი; რესპუბლიკის ქ N6.

**მუხლი 2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენილ იქნას შემდეგი საკითხები:

**1.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

**/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე, ნ. ჯამბურია/**

**2.** „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**3.** ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63. 632235524 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზ**ე.**

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**4.** ''არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63. 632235515 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**5.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"- ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის გ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**6.** ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N გ-63.63223559 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**7.** „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

**8.** საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 33 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ, დ. ჯანელიძე/**

**9.** სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–ს შორის 2022 წლის 24 ოქტომბერს დადებული უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით, შეწყვეტისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/**

**10.** ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52ᲐᲐ–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენეობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე/**

**11. სხვადასხვა.**

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში.

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი